შენიშვნა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2020 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ადვოკატის საჩივარი და მას დაეკისრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (საქმე Nსსდ-32-19)

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ნ. მ., უ. გ., მ. გ., ე. კ., ნ. გ. , მ. ჯ., ქ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.08.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 118/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. პ.-ს მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. პ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორების პოზიცია:**

1.1 2018 წლის 08 აგვისტოს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ნ. მ.-მ, უ. გ.-მ, მ. გ.-მ, ე. კ.-მ, ნ. გ. -მ და მ. კ.-მ ადვოკატ ი. პ.-ს წინააღმდეგ.

1.2 საჩივრის ავტორების განმარტებით, ისინი წარმოადგენენ შპს „ს. კ. ს.-ს“ დაზარალებულებს და ჩართული არიან სამართლებივ დავაში მ. ფ.-ს წინააღმდეგ, რომელიც იყო შპს „ს. კ. ს.-ს“ მმართველი. საჩივრის ავტორთა განმარტებით მ. ფ.-ს ინტერესებს იცავს ადვოკატი ი. პ., რომელიც მ. ფ.-ს ინტერესების დაცვამდე ესწრებოდა შპს „ს. კ. ს.-ს“ დაზარალებულთა შეკრებებს, წარმოადგენდა, მისი დის (კომპანიის დაზარალებულის), მ. პ.-ს ინტერესებს და ფლობდა ყველა ინფორმაციას დაზარალებულთა სამოქმედო გეგმების შესახებ. საჩივრის ავტორმა, ე. კ.-მ განმარტა, რომ ი. პ. მ. ფ.-ს ადვოკატი არის 2017 წლის 8 სექტემბრიდან. ხოლო

2017 წლის სექტემბრის თვემდე დაახლოებით ორი-სამი თვით ადრე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარესთან გამართულ შეხვედრაზე, ი. პ.-მ დაზარალებულებს განუმარტა, რომ მისი და მ. პ. არის შპს „ს. კ. ს.-ს“ ერთ-ერთი დაზარალებული და წარმოადგენს მის ინტერესებს. საჩივრის ავტორთა განმარტებით, ი. პ.-მ ამავე შეხვედრაზე განაცხადა, რომ მ. ფ.-ს ადგილი იყო ციხეში, თუმცა შემდეგ თავად გახდა მისი ინტერესების დამცველი.

1.3 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატი ი. პ. ინტერნეტში განათავსებს მ. ფ.-ს მიერ ციხიდან გამოგზავნილ წერილებს, რომლებიც ადვოკატის პირადი აზრებით არის გაჯერებული და შეიცავს შურაცხმყოფელ ტექსტებს. საჩივრის ავტორებმა წარმოადგინეს მ. ფ.-ს 3 წერილი. პირველ წერილში მითითებულია წინადადებები: „მივმართავ ჩვენი კომპანიის დაზარალებულების ყველაზე გაუნათლებელ ნაწილს“, „თუ აზროვნების რაიმე ნატამალი გაგაჩნიათ“, „ის ვინც ცდილობს ჩვენ შორის დადებული ხელშეკრულება გაართულოს და თავის თავზე მოირგოს, ძალიან უტვინოა“, „მე გული მწყდება, რომ თქვენ ქართველებს თქვენი თავი ყველაზე განათლებული ერი გგონიათ“, „პროკურორის ხალხი ხართ, მაგრამ სად წამიხვალთ, მაშინ როდესაც სტრასბურგის სასამართლო ციხიდან გამომიშვებს? ტრაკიდან გიხმართ, პროკურორ ოქროპირიძესთან ერთად“ (ს.ფ. 4-5); მ. ფ.-ს მეორე წერილში მითითებულია წინადადებები: „არ გინდათ თქვენ ჩემი დახმარება და პროკურორის ერთი ადგილი გირჩევნიათ“, „მოსწოვეთ პროკურორს ზუსტად იმ ადგილზე, (მე არ მიგითითებთ უზრდელობაში ჩამომართმევთ) (ს.ფ. 7) და მ. ფ.-ს მესამე წერილში მითითებულია წინადადებები: „თქვენ, გაუნათლებელმა ბრბომ“, „თქვენ უტვინო ხალხი, უკრავდით ტაშს სასამართლოში, იმდენი ტვინი კი არ გქონდათ, რომ ვერ გაიგეთ თუ პროკურატურამ როგორ გიხმარათ და შემდეგ მოგიშორათ, „თქვენ თქვენის უტვინობით ატეხეთ აყალმაყალი“, „თქვენ ქართველი საზოგადოება ძალიან გაუნათლებლები ხართ“, „მე რომ გარეთ გამომიშვან მინიმუმ სამ ადამიანს მოვუსპობ სიცოცხლეს“, „მე მივხვდი თუ როგორი უგონო და გაუნთლებელია ქართველი ერი, თქვენ ჯერ ს. გხმარობდათ, ახლა კი ივანიშვილი, თან ხმარებ-ხმარებით ევრო კავშირში შესვლას გპირდებიან. ტვინი თუ გაგინძრევიათ რომელიმეს“, „ღმერთმა შეარგოს ბ და ბ. ი.-ს, ცოტა ხანს გიხმარენ კიდევ და 2020 წელს ესტაფეტას სხვას გადააბარებენ“, „ჭკუას გიხსნით, რომ როგორ უპრეზერვატივოთ გიხმარათ პროკურატურამ თქვენ“ (ს.ფ. 8-9).

1.4 ე. კ.-მ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე აღნიშნა, რომ პირადად დაურეკა ადვოკატ ი. პ.-ს და სთხოვა მ. ფ.-ს მიერ დაწერილი წერილების დედნები სოციალურ ქსელში გამოექვეყნებინა, რაც ადვოკატმა არ შეასრულა.

1.5 საჩივრის ავტორის, ნ. გ. -ს განმარტებით, დაზარალებულებს სურდათ მ. ფ.-სთან შეთანხმების მიღწევა, რის გამოც ცდილობდნენ დახმარებოდნენ მას საპროცესო შეთანხმების გაფორმებაში, ი. პ. კი ხელს უშლიდათ მათ და არ აძლევდათ მ. ფ.-სთან მორიგების საშუალებას.

1.6 საჩივრის ავტორის, ანა ძნელაძის განმარტებით, 2015 წელს 14 მეანაბრემ ჩამოაყალიბა არასამთავრობო ორგანიზაცია და ხელშეკრულება გააფორმა კომპანია „დ. გ.-სთან“ გარკვეული პირობებით, კერძოდ ისინი უნდა დახმარებოდნენ შპს „ს. კ. ს.-ს“ დაზარალებულებს. კომპანია „დ. გ.-ს“ ხელმძღვანელთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს კომპანიაში ასევე იმყოფებოდა ი. პ., რომელიც დაზარალებულებს გაეცნო, როგორც „დ. გ.-ს“ ადვოკატი, რომელიც შემდეგ დ. გ.-ს

მოთხოვნით, 14 მეანაბრის ინტერესების დასაცავად შევიდა ციხეში მ. ფ.-ს სანახავად. შესაბამისად, ი. პ. იმ პერიოდში მოქმედებდა, როგორც მეანაბრეების წარმომადგენელი და მეანაბრეებს აწვდიდა ინფორმაციას მ. ფ.-სთან შეხვედრის დეტალების თაობაზე. თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ ი. პ. აღარ იყო კომპანია „დ. გ.-ს" იურისტი და გახდა მ. ფ.-ს ადვოკატი.

1.7 საჩივრის ავტორის მ. გ.-ს განმარტებით, სოციალურ ქსელში საღამოს საათებში ქვეყნდებოდა წერილები, რომლის შინაარსი დაზარალებულთათვის მისაღები იყო, დილით კი ხვდებოდათ დაზარალებულთათვის შეურაცხმყოფელი შინაარსის წერილები.

1.8 საჩივრის ავტორის ქ. ბ.-ს განმარტებით, ი. პ.-სთან ურთიერთობის პერიოდში, სოციალურ ქსელში გაიხსნა გვერდი, სადაც თავდაპირველად, ი. პ. აქვეყნებდა მ. ფ.-ს წერილებს დედნის სახით. წერილების შინაარსი ხშირად იყო გამაღიზიანებელი, რის გამოც ქ. ბ.-მ სთხოვა ი. პ.-ს, რომ ასეთი წერილები სოციალურ ქსელში აღარ განეთავსებინა.

1.9 საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატ ი. პ.-ს მოქმედებები სცილდება ეთიკურ ნორმებს. ადვოკატი არ ცდილობს დაზარალებულებსა და მსჯავრდებულ მ. ფ.-ს შორის ურთიერთობების მოგვარებას და ძაბავს სიტუაციას. საჩივრის ავტორები მოითხოვენ ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების სახით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატის, ი. პ.-ს განმარტებით 2017 წლის 08 სექტემბრიდან იცავს მ. ფ.-ს ინტერესებს წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების მიხედვით, ადვოკატი კონსულტაციებს უწევს კლიენტს სამოქალაქო საქმეებზე და მას არასოდეს დაუცავს მ. ფ.-ს ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე. ი. პ.-ს განმარტებით მ. ფ.-სთან გაფორმებულ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაში ზოგადად არის მითითებული ხელშეკრულების საგანი, რომლის მიხედვით ადვოკატმა უნდა შეასრულოს კლიენტის მიერ მიცემული დავალებები. ხელშეკრულებაში დაკონკრეტებული არ არის ადვოკატის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები, მათ შორის სოციალურ ქსელში კლიენტის მიერ დაწერილი წერილების გამოქვეყნება, რაც მ. ფ.-ს მიერ მისთვის მიცემული ერთ-ერთი დავალება იყო.

2.2 ადვოკატის განცხადებით, სოციალურ ქსელში შექმნილ გვერდზე განთავსებული ყველა წერილი შედგენილია მ. ფ.-ს მიერ. აღნიშნული გვერდი შექმნა ადვოკატმა ვ. ლ.-მ და მისი პაროლი ცნობილია მ. ფ.-ს ყველა ადვოკატისთვის. მ. ფ.-ს დაქირავებული ჰყავდა პირები, რომლებიც მისი დავალებით წერილებს განათავსებდნენ სოციალურ ქსელში, მათი არყოფნის დროს კი წერილების ნაწილი, მათ შორის საქმეში წარმოდგენილი პირველი წერილი, განათავსა ადვოკატმა ი. პ.-მ.

2.3 ადვოკატ ი. პ.-ს განმარტებით სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში მ. ფ.-ს არ ჰქონდა საპროცესო შეთანხმების დადების სურვილი და აღნიშნულ დამოკიდებულებას გამოხატავდა სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ წერილებში, რომელთა ადრესატი იყო

დაზარალებულები. ადვოკატის განმარტებით, წერილების გამოქვეყნებით დაზარალებულებს ზიანი არ მიადგათ.

2.4 ადვოკატის განმარტებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში შპს „ს. კ. ს.-ს“ დაზარალებულებთან გამართულ შეხვედრაზე მივიდა მ. ფ.-ს დავალებით, როგორც მ. ფ.-ს წარმომადგენელი, რაც მისვლისთანავე აცნობა დაზარალებულებს. მან დაზარალებულებს ასევე აცნობა, რომ მისი დაც ერთ-ერთი დაზარალებული იყო. შპს „ს. კ. ს.-ს“ დაზარალებულებმა უკმაყოფილება გამოხატეს და არ ისურვეს შეხვედრაზე მისი დასწრება, რის გამოც ადვოკატი აღნიშნულ შეხვედრას აღარ დაესწრო. ი. პ.-ს განცხადებით, მის დას არ აქვს პრეტენზიები მ. ფ.-ს მიმართ და მას არასოდეს დაუცავს დის ინტერესები.

2.5 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ასევე ისაუბრა კომპანია „დივიზორ გრუპზე“. მისი განმარტებით, კომპანია საქმიანობდა პრობლემური სესხების ამოღების მიმართულებით. სწორედ ამ მიზნით, შპს „ს. კ. ს.-ს“ დაზარალებულებმა შეთანხმება დადეს „დ. გ.-სთან“, რომელსაც უნდა ეწარმოებინა მათი თანხების დაბრუნებასთან დაკავშირებული პროცედურები. ადვოკატ ი. პ.-ს განცხადებით ამ კომპანიაში მუშაობა დაიწყო 2016 წლის ნოემბრის თვეში, საიდანაც მალევე წამოვიდა. კომპანიაში მუშაობის პერიოდში ის არ ახორციელებდა დაზარალებულთა დაცვას.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1. საპროცესო კოლეგიამ 2018 წლის 24 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ი. პ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ გამოქვეყნებულ წერილში გამოყენებული ფრაზები მიმართულია საჩივრის ავტორთა შეურაცხყოფისკენ, მაშინ როდესაც პროცესუალური მხარის პატივისცემის ვალდებულება მოიცავს მისთვის შეურაცხყოფის მიყენების დაუშვებლობას. ადვოკატმა წერილი გამოაქვეყნა პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს და მისი ნახვის შესაძლებლობა ჰქონდა ბევრ ადამიანს, რომლებშიც შესაძლებელია ადვოკატის პროფესიამ გარკვეულწილად დაკარგა სანდოობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე, რისი განხილვის ეტაპზე დადასტურების შემთხვევაში, შესაძლებელია ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი და მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი.

3.3. საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ ი. პ.-ს მოქმედებების შესწავლისას არ ჩათვალა, რომ წარმოდგენილი იყო საკმარისი მტკიცებულება ადვოკატის მხრიდან კონფიდენციალობისა და ინტერესთა კონფლიქტის ვალდებულების სავარაუდო დარღვევის დასადგენად. შესაბამისად განხილვის კოლეგია ვერ იმსჯელებს აღნიშნულ საკითხებზე.

3.4. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორი - ქ. ბ. გამოკითხა მოწმის სახით. 2019 წლის 17 ივნისს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე ქ. ბ.-მ სურვილი გამოთქვა საქმეში მონაწილეობა მიეღო საჩივრის ავტორის სახით, ვინაიდან ის ეთანხმება საჩივარში მითითებულ

პრეტენზიებს, დაინტერესებულია საქმის შედეგით და არის ერთ-ერთი ხელმომწერი საჩივარზე. ქ. ბ.-ს პოზიციას საქმეში საჩივრის ავტორის სახით მონაწილეობის თაობაზე დაეთანხმა ადვოკატი ი. პ..

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

განხილვის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდავოა მხარეთა შორის:

4.1. 2017 წლის 08 სექტემბრიდან ადვოკატი ი. პ. წარმოადგენს ბრალდებულ მ. ფ.-ს ინტერესებს, რომლის მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა საჩივრის ავტორთა და ადვოკატის ახსნა-განმარტებებს (პარ. 1.2, პარ. 2.1) .

4.2. ადვოკატმა ი. პ.-მ სოციალურ ქსელ ფეისბუქის გვერდზე, რომელიც შექმნა ვ. ლ.-მ და სადაც მ. ფ.-ს დავალებით ქვეყნდებოდა მისივე შედგენილი წერილები, გამოაქვეყნა მ. ფ.-ს შედგენილი ერთი წერილი, რომელშიც მითითებულია შემდეგი ფრაზა - „პროკურორის ხალხი ხართ, მაგრამ სად წამიხვალთ, მაშინ როდესაც სტრასბურგის სასამართლო ციხიდან გამომიშვებს? ტრაკიდან გიხმართ, პროკურორ ოქროპირიძესთან ერთად“.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *წერილი (ს.ფ. 4-5);*
- *საჩივრის ავტორთა და ადვოკატის ახსნა-განმარტებებს (პარ. 1.3, პარ. 2.2.)*

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ი. პ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. ადვოკატმა ი. პ.-მ კლიენტის დავალებით სოციალურ ქსელში წერილის განთავსებით, რომელიც შეიცავდა საჩივრის ავტორთა მიმართ შეურაცხმყოფელ ტერმინებს, დაარღვია:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(გ) მუხლი: *„ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“.*

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.1 მუხლი: *„ადვოკატი ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს“*, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილით *,,ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე*

არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას".

6.2. ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის იმ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას.

6.3. ეთიკის კოდექსით მოთხოვნილი მაღალი ზნეობრივი სტანდარტის დაცვა პროფესიის კორპორატიულ მიზანს ემსახურება. ეთიკური ვალდებულებების მიზანი არ არის მხოლოდ კონკრეტული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის მოწესრიგება, არამედ ისწრაფვის ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებისაკენ" (ეთიკის კომისიის 27.01.2014 წლის გადაწყვეტილება საქმეზე N047/13).

6.4. სადავო წერილი მიმართულია კონკრეტულ პირთა მიმართ, წერილი იწყება მიმართვით - „კომპანიის დაზარალებულებს" და მის ავტორად მითითებულია მ. ფ.. კომისიის მიერ შესაფასებელია სადავო ფრაზები, ხომ არ წარმოადგენს ისინი უხამსობას, რადგან ამ შემთხვევაში დარღვეული იქნება საპროცესო მხარისადმი და მათი უფლებებისადმი პატივისცემით დამოკიდებულების ვალდებულება.

6.5. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის 1(ვ) მუხლით უხამსობა განმარტებულია, როგორც განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს;

6.6. „ზოგადად მორალის (და, შესაბამისად, უხამსობის) დეფინიციის უნივერსალური ცნება არ არსებობს. თავად უხამსობის კანონისმიერი დეფინიციის მიხედვით, ამა თუ იმ გამოხატვის უხამსობად მიჩნევის საკითხს განსაზღვრავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებული ეთიკური ნორმები. ამასთან, სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად უხამსობის შეზღუდვა და შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა დასაშვებია არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში" (სუს-ის 2012 წლის 20 თებრვლის გადაწყვეტილება, №ას-1278-1298-2011).

6.7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილებაში გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის თაობაზე და დაადგინა: „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მაშინაც თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს".

6.8. მოცემულ შემთხვევაში 4.2. პარაგრაფში ციტირებული ფრაზას უარყოფითი გავლენა შეუძლია მოახდინოს საზოგადოებაზე და მისი ღირებულება არ წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელ მნიშვნელობას, რომლის გამოც ის მოექცეოდა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ფარგლებში. ადვოკატმა ი. პ.-ს წერილი თავად არ დაუწერია, თუმცა იცნობდა მის შინაარს და თავად გამოაქვეყნა ის. ადვოკატის განმარტებით, სოციალურ ქსელში წერილის განთავსებისას ის ასრულებდა კლიენტის მიერ მიცემულ დავალებას, რომელსაც მოიაზრებს საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ მოქმედებად, რაშიც იღებდა შესაბამის ანაზღაურებას.

6.9. „ადვოკატთა შესახებ“ კანონიც და აპეკ-იც ერთიანია იმ საკითხში, რომ კლიენტის დასაცავად ადვოკატი შეზღუდულია კანონით და პროფესიული ვალდებულებებით. კანონის 6.1 მუხლის თანახმად *„ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“.* *აპეკ*-ის 5 მუხლი: *„ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს“.*

6.10. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატ ი. პ.-სა და მ. ფ.-ს შორის არსებული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ცდება „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლში ჩამოთვლილ საადვოკატო საქმიანობათა ჩამონათვალს და გულისხმობს კლიენტის მიერ მიცემული ტექნიკური დავალებების შესრულებას. მიუხედავად ამისა, მსგავს შემთხვევებშიც, ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს პროფესიული ქცევის სტანდარტებით, ვინაიდან მას კლიენტის დავასთან თუნდაც ირიბად დაკავშირებული დავალებების შესრულების დროს უნარჩუნდება ეთიკური ქცევის ვალდებულება, ვინაიდან „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის სპეციალური ნორმები მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის“ (სუს-ის სადისციპლინო პალატის 2015 წლის 06 მაისის გადაწყვეტილება, №დს-შ/5-15).

6.11. ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედებისას დაკმაყოფილებული უნდა იყოს ორი კუმულატიური წინაპირობა: ინტერესი უნდა იყოს კანონიერი, ასევე კანონიერი ინტერესის მიღწევის მიზნით ადვოკატის მოქმედება უნდა იყოს კანონიერი და ჯდებოდეს პროფესიული ეთიკის ფარგლებში. ამ შემთხვევაში ორივე წინაპირობა დარღვეულია. კლიენტის კანონიერი ინტერესი ვერ იქნება პროცესის მონაწილე პირისათვის (ამ შემთხვევაში დაზარალებულებისთვის) უხამსი მიმართვა, შეურაცხყოფა და ისეთი ტერმინები, რაც მიუღებელია საზოგადოებაში, იწვევს პირის პატივისა და ღირსების შელახვას. ასევე, დაუშვებელია ადვოკატის მიერ უხამსი გამონათქვამის გამოქვეყნებაში რაიმე სახით მონაწილეობის მიღება.

6.12. ადვოკატი, როგორც - მართლმსაჯულების განხორციელებაში უშუალოდ მონაწილე პირი, (ზოგ ქვეყანაში მას მართლმსაჯულების მსახურად მოიხსენიებენ), ასეთი მაღალი სტატუსიდან გამომდინარე, შებოჭილია ვალდებულებით - პატივი სცეს და არ შელახოს პროცესში მონაწილე ნებისმიერი პირის უფლება, მათ შორის დაზარალებულის უფლებას. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ კლიენტის მიმართ ვალდებულებების გარდა ადვოკატს აქვს ვალდებულებები საზოგადოების, მართლმსაჯულების, პროფესიის მიმართ.. ადვოკატი ვერ იქნება ბრმა იარაღი კლიენტის ხელში. რაც შეიძლება მოიმოქმედოს კლიენტმა (ვისზეც არ ვრცელდება პროფესიული ეთიკა), ვერ განახორციელებს ადვოკატი.

6.13. ადვოკატმა ი. პ.-მ გაავრცელა მ. ფ.-ს მიერ დაწერილი უხამსობის შემცველი წერილი, რომელიც საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის იქნებოდა მიუღებელი და შეურაცხმყოფელი. ფართო საზოგადოებისათვის სადავო წერილის გამოქვეყნება განსაკუთრებით ზიანის შემცველია უხამსობის ადრესატისადმი. შესაბამისად, კომისია ვერ დაეთანხმება ადვოკატს, რომ წერილის გავრცელებით ზიანი არ მიადგათ საჩივრის ავტორებს, ვინაიდან ადვოკატის მოქმედებამ ხელი შეუწყო წერილის ხელმისაწვდომობას, წერილში მოცემული უხამსი ფრაზები კი არამარტო ობიეტური თვალთახედვით აყენებს მის ადრესატს მორალურ ტკივილს, არამედ სუბიექტურადაც. მათი აღშფოთების შესახებ განაცხადეს საჩივრის ავტორებმა, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეში წარმოადგენენ დაზარალებულად ცნობილ პირებს.

6.14. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული წერილის შეიცავდა უხამსობას, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ღირებულებებს, ხოლო ასეთი შინაარსით წერილის გამოქვეყნება არ ემსახურებოდა კლიენტის ინტერესების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს. ადვოკატს უნდა გამოეჩინა გონივრული წინდახედულება და თავი უნდა შეეკავებინა წერილის მსგავსი სახით გამოქვეყნებისაგან.

6.15. ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

6.16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

6.17. ეთიკის კომისიამ საქმეში, სადაც საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხებოდა ადვოკატის მიერ პროკურორის სახელზე შედგენილ განცხადებაში საჩივრის ავტორის მიმართ გამოყენებულ შეურაცხმყოფელ სიტყვებს - „თავხედი“ „უსინდისო“, „მკვლელი“, „ვერაგი პიროვნება“, ხოლო ადვოკატი უთითებდა, რომ თავისი კლიენტის, რომელიც დაზარალებული პირი იყო, ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა, ადვოკატის მიმართ გამოიყენა დისციპლინური

ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათი. (ეთიკის კომისიის 2016 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება, საქმეზე №035/15). მოცემულ საქმეში ადვოკატმა აღიარა გადაცდომა (იხ. 10.14 პარაგრაფი), რაც ადვოკატ ი. პ.-ს მხრიდან არ მომხდარა, რასაც კომისია დისციპლინური სახდელის ფორმის განსაზღვრისას ითვალისწინებს. განსხვავებით №035/15 საქმიდან, სადაც საჯაროდ არ იყო გავრცელებული შეურაცხმყოფელი სიტყვების შემცველი განცხადება, კომისია მხედველობაში იღებს იმას, რომ ადვოკატმა უხამსი შინაარსის წერილი განათავსა საჯაროდ ხელმისაწვდომ სოციალურ გვერდზე და მისი დამაზიანებელი ეფექტი აქედან გამომდინარე მეტი იქნებოდა, რაც ადვოკატისთვის შეცნობადი უნდა ყოფილიყო. გადაწყვეტილების 7.1.3. ფაქტში მითითებული ფრაზა უხამსია, სექსუალური ხასიათის ქმედებაზე აკეთებს მითითებას, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება №035/15 მითითებული ფრაზებისგან, სადაც ეთიკის კომისიის შეფასებით განსახილველი ფრაზები წარმოადგენდა „სისხლის სამართალწარმოების პროცესის მონაწილე პირის - ბრალდებულის შეფასებას და პიროვნულ მახასიათებელს, გამოწვეულს ემოციით და ნეგატიური დამოკიდებულებით“. ის გარემოება, რომ აღნიშნული არ იყო ადვოკატის დაწერილი, კომისია არ თვლის შემამსუბუქებელ გარემოებად, რადგან ადვოკატის აქტიური მოქმედების გარეშე, უხამსობის შემცველი ფრაზა ვერ გახდებოდა საჯაროდ ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ეთიკის კომისია საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვით ვერ იქნება მიღწეული დისციპლინირების მიზანი და დადგენილი დარღვევიდან გამომდინარე, ადვოკატის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 35-ე მუხლებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 35-ე მუხლით, 40-ე მუხლის მეორე ნაწილით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №118/18 ადვოკატ ი. პ.-ს მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ ი. პ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის გზით, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/